უნივერსიტეტი კრიზისში და კრიზისი უნივერსიტეტში

განათლების ადმინისტრირება (უმაღლესი განათლება)

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თამარ თაქთაქიშვილი
გულიკო გონაშვილი
მარიამ მუმლაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ თაქთაქიშვილი

გულიკო გონაშვილი

მარიამ მუმლაძე

30.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ილიას უნივერსიტეტის, განათლების სკოლის წარმომადგენლების ერთმანეთთან და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას ქვეყანაში შექმნილი ვითარების და ამ ვითარებაში უნივერსიტეტის როლის შესახებ.

დიაგნოსტიკის ეტაპი და ინტერვენციები განხორციელდა კვლევაში მონაწილე სხვადასხვა აქტორის - სტუდენტების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მიღმა არსებული აკადემიური საზოგადოების აქტიური წევრების (გარე აქტორების) ჩართულობით.

არსებულ კრიზისულ ვითარებაში უნივერსიტეტის როლის და ფუნქციის შესახებ მიგნებები და რეკომენდაციები, ძირითადად, წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის პერსპერქტივიდან, ამასთან, კვლევაში ინტეგრირებულია განათლების სკოლის წარმომადგენელი სხვა ჯგუფების მოსაზრებებიც.

კვლევა ეფუძნება აზრის შექმნისა (Sensemaking) და აქტორ-ქსელების (Actor-Network Theory) თეორიებს, რომელთა საშუალებითაც შევძელით უკეთ გაგვეანალიზებინა, თუ როგორ რეაგირებს უნივერსიტეტი და მასთან დაკავშირებული ქსელი კრიზისულ სიტუაციებზე და რა შეიძლება გაკეთდეს ამ ვითარებაში საუნივერსიტეტო საზოგადოების კონსოლიდაციისთვის. გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები: ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები და თვითრეფლექსია.

ნაშრომში მოცემული მიგნებები მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი აღიქმება როგორც ღირებულებითი მნიშვნელობის მქონე სივრცე. შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანია დემოკრატიის, დისკუსიისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება. კვლევამ გამოკვეთა უნივერსიტეტის მიმართ არსებული მოლოდინების მრავალფეროვნება, ასევე, შიდა კომუნიკაციის დაბალი ხარისხი და სტრუქტურული ბარიერები. ნაშრომი ასახავს განათლების სკოლის მცდელობას, გააფართოვოს დისკუსია უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და მოახდინოს ამ პრიორიტეტის გარშემო საუნივერსიტეტო საზოგადოების კონსოლიდაცია.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი უნივერსიტეტში, აკადემიური პერსონალის პერსპექტივა კრიზისის პირობებში, უნივერსიტეტის იდენტობის კრიზისი, სტრატეგიული ლიდერშიფის დეფიციტი

Abstract

This paper presents a practice-based study aimed at enhancing communication among representatives of the School of Education at Ilia State University and other members of the academic community regarding the current sociopolitical context and the role of the university within it. The diagnostic phase and subsequent interventions were carried out with the involvement of various stakeholders, including students, university administration, and members of the broader academic community beyond the School of Education (external actors).

The findings and recommendations concerning the role and function of the university in times of crisis are primarily presented from the perspective of academic staff, while also integrating insights from other groups within the School of Education. The research is grounded in **Sensemaking Theory** and **Actor-Network Theory**, which enabled a deeper analysis of how the university and its associated networks respond to crisis situations, and what can be done to consolidate the academic community in such contexts.

The study employed qualitative methods, including focus groups, in-depth interviews, and self-reflection. The findings suggest that the university is perceived as a space of significant normative value. In the current situation, strengthening democracy, open dialogue, and civic responsibility is of particular importance. The research revealed a diversity of expectations toward the university, as well as weak internal communication and structural barriers. The paper reflects the School of Education's efforts to broaden the discussion around the university's social responsibility and to foster greater cohesion within the academic community around this shared priority.

Keywords: crisis in the university, academic staff perspectives in times of crisis, crisis of university identity, deficit of strategic leadership